თიბისი ბანკი

ს.ს. "თიბისი ბანკი" აცხადებს ტენდერს ლისის სათაო ოფისისთვის HVAC აგრეგატების/დანადგარების მომსახურების მომწოდებელი კომპანიის შერჩევაზე.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის www.tenders.ge საშუალებით. ტენდერი ჩატარდება ე.წ. რევერსული აუქციონის პრინციპით.

საქონლის / მომსახურების დასახელება
არსებული გათბობის / სავენტილაციო / კონდიცირების დანადგარების გეგმიური მომსახურება / შეკეთება / მწყობრიდან გამოსულის ჩანაცვლება ახლით;
მომსახურება უნდა განხორციელდეს სს „თიბისი ბანკი"-ს ლისის სათაო ოფისში (აგრეგატების/დანადგარების ჩამონათვალის სია თან ერთვის სატენდერო დოკუმენტაციას **დანართი #2**-ის სახით).

მინიმალური მოთხოვნები პრეტენდენტ კომპანიის მიმართ

- ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ მომწოდებელს, რომელსაც გააჩნია მომსახურების გაწევისთვის საკმარისი ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;
- მოთხოვნილი მომსახურების შეუფერხებლად განხორციელებისთვის კომპანიას უნდა შეეძლოს საკმარისი რესურსის გამოყოფა;
- სამუშაოების შესრულება განახორციელოს პროფესიონალი და გამოცდილი პერსონალის მეშვეობით;
- გააჩნდეს ქოლ - ცენტრი (ცხელი ხაზი) და აღნიშნულ სფეროში გამოცდილების მქონე ბანკზე მომაგრებული საკონტაქტო პირი (რომელსაც ექნება ვალდებულება ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი იყოს ტელეფონზე ბანკის წარმომადგენელისათვის);
- გააჩნდეს მინ. 2 (ორი) წლიანი სამუშაო გამოცდილება ანალოგიურ სფეროში;
- **გამარჯვების შემთხვევაში კომპანიამ სს „თიბისი ბანკ"-ში უნდა გახსნას ანგარიში ან არსებობის შემთხვევაში წარმოადგინოს საბანკო რეკვიზიტები.**

<u>**რეაგირების ვადები**</u>

- შემსრულებელი ვალდებულია ხარვეზის აღმოჩენის ან/და დამკვეთის მხრიდან შესაბამისი ინფორმაციის/მოთხოვნის დაფიქსირებიდან მოახდინოს რეაგირება (ფილიალში/ობიექტზე ვიზიტი) ერთი საათის განმავლობაში და არაუმეტეს 24 სთ-ის განმავლობაში აღმოფხვრას ხარვეზი. იმ შემთხვევაში, თუ საკითხის მოსაგვარებლად საჭიროა შესაბამისი საზღაურის გადახდა, შემსრულებელი ვალდებულია პრობლემის დაფიქსირებიდან 2 საათის განმავლობაში მიაწოდოს დამკვეთს ინვოისი და დეფექტური აქტი. დამკვეთის მიერ ინვოისის დადასტურებისათვის გამოყენებული დრო არ იქნება გათვალისწინებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად შემსრულებლისათვის გათვალისწინებული დროის ათვლისას (24 საათი).

სასერვეროს შემთხვევაში ხარვეზი უნდა გამოსწორდეს არაუმეტეს 3 (სამი) საათისა. შემსრულებელმა პრობლემის მოსაგვარებლად (საჭიროების შემთხვევაში) დამკვეთს უნდა მიაწოდოს ინვოისი საბაზრო ფასებით ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ.

- გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ძნელად საშოვნელ დეფიციტურ ნაწილებს, ბანკთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მომსახურე კომპანიას მიეცემა გონივრული ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად;
- დამკვეთმა შესაძლებელია გადასცეს შემსრულებელს მის საწყობში არსებული აგრეგატის სერვის ნაწილი ან თვითონ აგრეგატი (მარაგის არსებობის შემთხვევაში), თუმცა ხარვეზის გამოსწორების ვალდებულება ასეთ შემთხვევაში ეკისრება შემსრულებელს;
- „დამკვეთი" უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების/ვალდებულების შემსრულებლის მხრიდან დარღვევის შემთხვევაში (უხარისხო/არაჯეროვანი შესრულება, ვადის გადაცილება), „შემსრულებელს" დააკისროს ერთჯერადი პირგასამტეხლო.

შესასრულებელი სასერვისო სამუშაოების ჩამონათვალი

- შემსრულებელმა საკუთარი ხარჯით უნდა უზრუნველყოს ლისის სათაო ოფისში HVAC დანადგარების გეგმიური მომსახურება და სისტემატური კონტროლი ხელშეკრულების მოქმედების ვადებში (**დანართი №4** -ის მიხედვით):

  1. მოწყობილობების გეგმიური მონიტორინგი და სასერვისო მომსახურება უნდა განხორციელდეს ყოველკვარტალურად (სამ თვეში ერთხელ), რის შემდეგაც დგება შემოწმების აქტი რომელსაც შემსრულებლის წარმომადგენლებთან ერთად ხელს უნდა აწერდეს დამკვეთის ტექნიკური სამსახურის წარმომადგენელი.
  2. მოწყობილობის გეგმიური შემოწმების მინიმალური მოთხოვნები განსაზღვრულია დანართი #4 -ში;
  3. კონტრაჰენტი ვალდებულია ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს/მიაწოდოს ფიზიკური სახით ბეჭდური ინსტრუქცია/მოკლე ინსტრუქტაჟი და ადგილზე აუხსნას ბანკის ცენტრის შესაბამისს წარმომადგენლებს HVAC-სისტემის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, როგორიცაა სისტემის და ტემპერატურის რეგულირება /ჩართვა/გამორთვა და ა.შ.
  4. დამკვეთი უფლებამოსილია მისი სურვილის შემთხვევაში მოახდინოს ვენტილაციის ჰაერსატარებისათვის, აჰუებისათვის, რუფტოფებისათვის, რეკუპერატორებისათვის და ასევე იმ სისტემებისათვის, რომლებსაც არ აქვთ ფილტრები მოცემული მომენტისათვის, ჰაერის ფილტრების შეძენა და გადაცემა კონტრაჰენტისათვის მის მიერ სააბონენტოს მომსახურების ფარგლებში მონტაჟი / ჩანაცვლების განხორციელებისათვის;

- იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი მიაწვდის, სააბონენტო მომსახურების ფარგლებში გადაიტანოს დამკვეთის საწყობიდან და დაამონტაჟოს/ჩაანაცვლოს სადენიანი პულტები, თერმოსტატები, სადრენაჟო / საკონდენსაციო ტუმბოები;
- იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი შეთანხმების საფუძველზე მიაწვდის, სააბონენტო მომსახურეობის ფარგლებში გადაიტანოს დამკვეთის საწყობიდან და უფასოდ ჩაანაცვლოს/დაამონტაჟოს ვენტილაცია/გათბობა/გაგრილების შიდა და გარე აგრეგატების სერვის ნაწილები;
- ლისის სათაო ოფისში თავისივე ხარჯით ლიცენზირებულ ლაბორატორიაში შეამოწმოს აგრეგატების მაცივარ აგენტის და ზეთის ხარისხი, გამოცვლის აუცილებლობის შემთხვევაში, მასალების ღირებულებას დაფარავს დამკვეთი;
- მომსახურე კომპანიამ დამკვეთთან შეთანხმებული ფორმით ყოველთვიურად უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაოების რეპორტი რომელიც უნდა მოიცავდეს მინიმუმ ქვემოთ ჩამოთლილ ინფორმაციას:

  1. სააბონენტო მომსახურეობის დროს გამოვლენილი ხარვეზების ჩამონათვალი:
     ინვენტარის დასახელება, ნომერი (არსებობის შემთხვევაში) და გამოვლენილი ხარვეზის შინაარსი შესაძლო მიზეზის მითითებით და დამკვეთიდან მოთხოვნის შემთხვევაში 1 დღის ვადაში პრობლემის მოსაგვარებლად ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი;
  2. სააბონენტო მომსახურეობის დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით ჩატარებული სამუშაოს დეტალური განფასება;
  3. გამოვლენილი ხარვეზების კატეგორიზაცია და რაოდენობა თვის ჭრილში;

- ნებისმიერი გათბობა/გაგრილება/ვენტილაციის დანადგარის დემონტაჟამდე და დასაწყობებამდე, კონტრაჰენტმა უნდა შეისწავლოს: აგრეგატის მდგომარეობა, გაზომოს ძირითადი ტექნიკური პარამეტრები და წინასწარ შემუშავებული ფორმით (დეფექტური აქტი), ელექტრონული ფორმით გადასცეს ბანკს. ასევე, აგრეგატზე შემოწმების დროს დაადგინოს მიეწოდება თუ არა აგრეგატს ელ. კვება, აქვს თუ არა ტექნიკური ნაკლი ან/და არის თუ არა გამართულ მდგომარეობაში იმ შემთხვევაში თუ მისი შემოწმება ვერ მოხერხდება, აღნიშნულის შესახებ დაუყონებლივ უნდა ეცნობოს ბანკს .

- შემსრულებელი ვალდებულია მოახდინოს დანადგარების სეზონური გადართვები ზაფხულის რეჟიმიდან-ზამთარზე და პირიქით, ასევე წარმოადგინოს ამ სამუშაოების განხორციელების შესახებ ანგარიში;
- დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია წარმოადგინოს მის მიერ ჩატარებული სამუშაოს ფოტო-მასალა, სამუშაოს დაწყებამდე და დასრულების შემდეგ. მაგ. გასაწმენდი ფილტრის მდგომარეობა და გარეცხილი ან შეცვლილი ფილტრის მდგომარეობა, როგორც დანიშნულების ადგილას განთავსებამდე, ისე განთავსების შემდგომ. ზემოთხსენებული ფოტომასალა მოწოდებულ უნდა იქნეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 დღისა;
- შემსრულებელს აქვს ვალდებულება სხვადასხვა ტექნიკური გაზომვების ჩატარების და ზუსტი მონაცემების მოწოდების მათ შორის: ხმაურის დონის, ჰაერის სიჩქარის, ჰაერის ხარჯის როგორც ზონდით ასევე ფრთიანი საზომით, ჰაერის ხარისხის (PPM-ის), ნახშირორჟანგის შემცველობის, ფარდობითი ტენიანობის, ვენტილატორის ბრუნთა რიცხვის, ელექტრო მოწყობილობების ამპერაჟის, ბუნებრივი აირის წნევის და ტემპერატურის გაზომვა. შემსრულებელს აქვს ვალდებულება გამზომი აპარატურის წარმოდგენის, რომელიც საჭიროა იყოს მაღალი ხარისხის და სიზუსტის, მაგალითად TESTO-ს ან მასთან გათანაბრებული ხარისხის. შემსრულებელს უნდა შეეძლოს შესაბამისი გამზომი ხელსაწყოებით კიდევ სხვადასხვა ტექნიკური მონაცემების მოწოდება. მას პასუხისმგებლობა დაეკისრება გაზომვების სიზუსტეზე; დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მოთხოვნიდან 2 (ორი) დღის ვადაში;
- მოთხოვნის შემთხვევაში, 2 (ორი) დღის ვადაში შესწავლილი და მოწოდებული უნდა იქნას ყველა ობიექტზე არსებული აგრეგატების მოდელები, ცხაურების, ხარჯის რეგულატორების, ხმაურდამხშობების, პულტების განლაგება, ზომა და არსებობა /არ არსებობის დამადასტურებელი ფოტომასალა.

  დამკვეთის მიერ შეიძლება მოთხოვნილ იქნას: HVAC-სთან დაკავშირებული ტექნიკური ინფორმაცია, როგორიცაა: ფართის შიგნით და გარეთ არსებული კლიმატი, დემონტაჟი/მონტაჟთან დაკავშირებული, ექსპლოატაციასთან დაკავშირებული, ქარხანა მწარმოებლის ტექნიკური ინფორმაცია აგრეგატებთან და სისტემებთან მიმართებით და ა.შ. ქარხანა მწარმოებლის ტექნიკური ინფორმაცია აგრეგატებთან და სისტემებთან მიმართებით, ბოლო გეგმიური მომსახურების საფუძველზე აღწერილი აგრეგატების ტექნიკური ინფორმაციის მოწოდება მოხდეს არაუგვიანეს 48 საათისა. ბოლო გეგმიური კვარტალური მომსახურეობის დროს აუცილებელია აღწერა და არსებული ძველი ინფორმაციის განახლება.

- დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში ოთახში არსებული ჰაერის ტემპერატურის და PPM -ის მონაცემი მოწოდებული უნდა იქნას 24 საათში (არასამუშაო დროის ჩათვლით);
- მომსახურე კომპანიამ უნდა შეისწავლოს ყველა დაფიქსირებული ხარვეზი და წარმოადგინოს დეფექტური აქტი ყველა იმ აგრეგატზე, რომელზედაც ვრცელდება საგარანტიო მომსახურება;
- ტენდერში გამარჯვებული კომპანია უფლებამოსილია ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში მოახდინოს დანადგარების პარკის ინსპექტირება და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, წარმოადგინოს აგრეგატების ჩამონათვალი, რომლებიც სრულად არის გამოსული მწყობრიდან და არ ფუნქციონირებს, ხოლო ბანკის მხრიდან აღნიშნული ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კომპანია არ იქნება ვალდებული განახორციელოს სააბონენტო მომსახურეობა ასეთ აგრეგატებზე და არ დაეკისრება აღნიშნული აგრეგატის შეკეთების ან სრულიად გამოცვლის ვალდებულება;
- საგარანტიო ვადის გასვლამდე შემსრულებელს ევალება აგრეგატებზე მხოლოდ სასერვისო მომსახურება სააბონენტოს ფარგლებში და ზუსტი დიაგნოსტირება/დეფექტური აქტის შედგენა საგარანტიო პირობების დარღვევის გარეშე.
- სასერვისო მომსახურება მოიცავს, ასევე დამატებითი მომსახურების შესრულების ვალდებულებასაც. აღნიშნული უნდა განხორციელდეს დანართ #2-ში (დამატებითი მომსახურების ფურცელში) წარმოდგენილი ფასების შესაბამისად და გულისხმობს მხოლოდ მომსახურების ღირებულებას მასალების გარეშე. მასალების მიწოდებას უზრუნველყოფს დამკვეთი თავისი ხარჯით. დამატებითი მომსახურების გაწევისა და ანაზღაურების მხარეთა შორის შეთანხმებული პირობები მოცემული იქნება შემსრულებლის ინვოისში. მომსახურების გაწევის შესახებ გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი;
- კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მოხსნილი დანადგარების ტრანსპორტირება და დასაწყობება ბანკის მიერ მითითებულ მისამართზე, ნებისმიერ მითითებულ ადგილზე შიდა თუ გარე პერიმეტრზე თავისი ხარჯებით (საჭირო ამწე / კალათა, მანქანა / მექანიზმების ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსრულებელი ასევე თავისი ხარჯებით;

- ნებისმიერი მწყობრიდან გამოსული გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის დანადგარის შეცვლამდე, თუ ის არ ექვემდებარე შეკეთებას, წინასწარ მიაწოდოს ბანკს ინფორმაცია ახლად დასამონტაჟებელი დანადგარის შესახებ (ბრენდი, მოდელი, წარმოების ქვეყანა, საგარანტიო ვადა);
- ყოველივე ზემოთაღნიშნული სამუშაოები მომსახურე კომპანიამ უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯით, მათ შორის უნდა იყოს გათვალისწინებული ტრანსპორტირების და სამივლინებო ხარჯები;
- ზემოთაღნიშნული მომსახურების უზრუნველსაყოფად მომსახურე კომპანიას გადაეხდება ყოველთვიური საბონენტო გადასახადი, რომლის ოდენობა დადგინდება აღნიშნული ტენდერის შედეგად;
- სამუშაო საათების პერიოდში დამკვეთი უფლებამოსილია ხარვეზი დააფიქსიროს ელექტრონული ფოსტის გაგზავნით, ელ. ფოსტის საშუალებით მომსახურების დაწყებისათვის დამკვეთის მიერ გაგზავნილი შეტყობინება შემსრულებლის მიერ მიღებულად ჩაითვლება ელ. ფოსტაზე შესაბამისი ელ. შეტყობინების მისვლის შემდეგ, რა მომენტიდანაც აითვლება წინამდებარე დანართში განსაზღვრული მომსახურების/სამუშაოების შესრულების ვადა.
- არასამუშაო დროს დაკვეთა უნდა განხორციელდეს ცხელი ხაზის მეშვეობით, არასამუშაო დროს ცხელი ხაზის მითითებული უნდა იყოს ალტერნატიული ნომერი; შემსრულებელი ვალდებულია დაუყონებლივ მოახდინოს რეაგირება შესულ ინციდენტზე, არასამუშაო საათებში და დასვენების დღეებში (19 საათიდან დილის 10 საათამდე, შაბათს და კვირას, დღესასწაულებზე) გააგზავნოს რეაგირების ჯგუფი ან მიაწოდოს დამკვეთს ინფორმაცია საკითხის/ პრობლემის სტატუსის შესახებ, 1 საათის განმავლობაში.
- შემსრულებელი ვალდებულია ადგილზე მისვლის შემდეგ არაუგვიანეს ერთი საათის განმავლობაში პრობლემის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს დამკვეთს, ასევე ვალდებულია ნებისმიერი შედეგის შესახებ არაუგვიანეს ერთი საათის განმავლობაში მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია დამკვეთს.
- ცხელი ხაზი აქტიური უნდა იყოს 24/7-ზე.
- შემსრულებელი ვალდებულია გააკეთოს ლისის სათაოში HVAC აგრეგატების სრული აღწერა ყოველ 6 თვეში დამკვეთის მიერ მიწოდებული ფორმის მიხედვით.
- შემსრულებელი ვალდებულია ჰყავდეს საკანონმდებლო რეგულაციებთან შესაბამისი სერტიფიცირებული პერსონალი/ტექნიკოსი და ყველა სამუშაო აწარმოოს სახელმწიფოს მიერ დაწესებული რეგულაციების შესაბამისად, მათ შორის აწარმოოს მაცივარ აგენტის ჟურნალი (სამ თვეში ერთხელ ან მოთხოვნის შემთხვევაში ეს ჟურნალი წარმოადგინოს).
- შემსრულებელს აქვს ვალდებულება ყოველკვარტალური გეგმიური სერვისი განახორციელოს შემდეგი განაწილებით:

  პირველ თვეში მინიმუმ 1/3 HVAC-ის აგრეგატების გეგმიური სერვისის ჩატარების;
  მეორე თვეში მინიმუმ 2/3 HVAC-ის აგრეგატების გეგმიური სერვისის ჩატარების;
  მესამე თვეში სერვისის გარეშე დარჩენილი ყველა აგრეგატის გეგმიური სერვისის ჩატარების;

<u>**შენიშვნა:**</u>

დამატებითი მომსახურების ანაზღაურება მოხდება ცალკე, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად დამკვეთთან წინაწარ შეთანხმებით.

კონტრაჰენტი ვალდებულია ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში უზრუნველყოს აგრეგატების შემოწმება და შემოწმების აქტის მომზადება. დამატებით საჭიროებისას, დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში, შემოწმების აქტის მიწოდება უნდა მოხდეს არაუგვიანეს 24 საათისა;

- აგრეგატების შემოწმება მონტაჟის შემდგომ, პირველად ექსპლუატაციაში შესვლამდე მოთხოვნის დაფიქსირებიდან 24 საათში;
- შემოწმება სამუშაო მოწყობილობის სხვა ტერიტორიაზე ან სხვა სამუშაო სივრცეში გადატანისას 24 საათში;
- არანაკლებ წელიწადში ერთხელ შემოწმება არაუგვიანეს 1 აპრილამდე
- განსაკუთრებული შემთხვევების შემდგომ შემოწმება (ავარია, სტიქიური მოვლენები, და სხვა) 24 საათში

დამკვეთის მოთხოვნისამებრ აუცილებელია მომზადდეს დასკვნა, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- აგრეგატების ჩამონათვალი, რაოდენობა და მოდელი;
- შემოწმების დროს, ყველა დანადგარი არის თუ არა ტექნიკურად გამართული; აღნიშნულის შემოწმების დროს თუ აგრეგატს არ მიეწოდება ელ. კვება, აქვს ტექნიკური ნაკლი ან/და არ იმყოფება გამართულ მდგომარეობაში მისი შემოწმება ვერ მოხერხდება;
- არსებული ვენტილაციის სისტემა რამდენად აკმაყოფილებს 341-ე ტექნიკურ რეგლამენტს (ჰაერცვლის შესაბამისობა რეგლამენტთან);

მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების აუცილებელი წინაპირობაა, რომ დამკვეთმა შემსრულებელს წერილობითი სახით მიაწოდოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- სათავსოს (სათავსოების) არქიტექტურული პროექტი, რომელიც უნდა შეიცავდეს:
- ფართობების სტატუსების მითითებას, ადამიანების განთავსების რაოდენობასა და ლოკაციას.
- სავენტილაციო სისტემების საინჟინრო პროექტი.

- შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას, რომ ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტი, რეპორტი) მოწოდებული იქნება, არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 2 რიცხვისა.
- შესასრულებელი სამუშაოები სრულად უნდა პასუხობდეს ტენდერით დადგენილ პირობებს და ასევე შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და შრომის უსაფრთხოების დადგენილ წესებს-რეგულაციებს.
- ყოველთვიური სააბონენტოს მიღება-ჩაბარების აქტით შემსრულებელი კომპანია დაადასტურებს, რომ სს „თიბისი ბანკი“-ს ლისის სათაო ოფისში ჩაატარა გენერალური სერვისი, შეამოწმა და ჩაატარა სამუშაოები შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისად.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- ინფორმაცია კომპანიის შესახებ (**დანართი №1**-ის მიხედვით)
- ფასების ცხრილი (სასერვისო და დამატებითი სამუშაოები) (**დანართი №2** -ის მიხედვით)
- ინფორმაცია ანალოგიური მიწოდების შესახებ (**დანართი №3** -ის მიხედვით)
- დანართი №7 - აფიდავიტი
- დანართი №8 - KYP
- რეკომენდატორი კომპანიების ჩამონათვალი და საკონტაქტო ინფორმაცია (**დანართი №6** -ის მიხედვით)

<u>შენიშვნა:</u>

საგარანტიო ვადა შესრულებულ სამუშაოზე და მოწოდებულ მასალაზე უნდა შეადგენდეს მინ. 24 თვეს (გარანტია არ ითვალისწინებს დაზიანებას მექანიკური ზემოქმედების შედეგად)

საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტაცია

- ინფორმაცია ლისის სათაო ოფისში არსებული დანადგარების ჩამონათვალზე (**დანართი №5**)

დამატებითი ინფორმაცია

- წინადადებების მიღება იწყება **2026 წლის 11 თებერვალი, 11:00 სთ**
- წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2026 წლის 11თებერვალი, 15:00 სთ**
- ტენდერი ცხადდება ელექტრონული პლატფორმის **www.tenders.ge** მეშვეობით, რევერსული აუქციონის პრინციპით.
- საწყისი განფასების მოსაწოდებლად იხელმძღვანელეთ თანდართული ფორმით: **დანართი №2**
- ფასები უნდა იყოს წარმოდგენილი ეროვნულ ვალუტაში (ლარი), კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით;
- წარმოდგენილი ღირებულება უნდა ითვალისწინებდეს როგორც საქონლის, ასევე მომსახურების (მოხსნა, დაყენება, შეცვლა და ა.შ) ღირებულებას;
- ანგარიშსწორება განხორციელდება თვის განმავლობაში მიღებული მომსახურების და შესაბამისი დოკუმენტაციის და რეპორტების (ს/ზ, ა/ფ, მ/ჩ აქტი) წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღეში.
- ყოველ შესრულებულ სამუშაოებზე ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი ფოტო მასალის წარმოდგენა;
- პრეტენდენტის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა მოხდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია;
- დამკვეთის მხრიდან შესაძლებელია ტენდერის პროცედურის შეწყვეტა შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზედაც ყველა მონაწილე იქნება ინფორმირებული წინასწარ ან ტენდერის დასრულების შემდგომ;

საკონტაქტო ინფორმაცია

სატენდერო დოკუმენტაციასთან და სატენდერო პირობებთან დაკავშირებით - ნინო აბაიშვილი;
ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით - გივი კუბლაშვილი;

Name	Position	Mobile	E-mail
ნინო აბაიშვილი	შესყიდვების განყოფილება	571 90 90 70	nabaishvili@tbcbank.ge
გივი კუბლაშვილი	გათბობა, ვენტილაციისა და კონდიცირების ინჟინერი	599 67 32 40	GivKublashvili@Tbcbank.ge
ირაკლი გუჩუა	ექსპლუატაციის ჯგუფის უფროსი	577 92 28 90	iguchua@tbcbank.ge